

MANUCHAR (NANUCHA) TSITSISHVILI FROM A DIFFERENT PERSPECTIVE

მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილი სხვა რაკურსით

Murad Mtvarelidze

Doctor of Philology,

Professor of Gori State University,

Chavchavadze St. 53, Gori, 1400, Georgia,

+995595484037,mtvarelidze.murad@gamil.com

<https://orcid.org/0000-0002-2335-6312>

Abstract. Manuchar (Nanucha) Tsitsishvili is mainly known in our literary studies as an interpolator of the text of Vepkhistaosni, a forger, whose work is mentioned in a negative context by researchers of Vepkhistaosni and in general, ancient Georgian writing. This attitude undoubtedly derives from the assessment of the king-poet Archili (XVII-XVIII s), who gave a strongly negative assessment of Manutsar Tsitsishvili's work in the poem "Gabaaseba (controversy) of King Teimuraz and Rustaveli".

Nanucha Tsitsishvili was considered one of the most interesting and influential figures and writers in Kartli of his time. According to us, he was also the author of the original poems, in addition to the included stanzas of "The Leopardskin". At the same time, he was known in the society of his time as a wise scribe and mamulishvili.

We think that the established opinion about Manuchar Tsitsishvili as a forger needs to be revised and the conflicting reports that exist about this figure's poetic abilities and works should be reconciled.

Keywords: Manuchari, Nanucha, Interpolator, Poet.

მურად მთვარელიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. 53, 1400, საქართველო

+995595484037,mtvarelidze.murad@gamil.com

<https://orcid.org/0000-0002-2335-6312>

აბსტრაქტი. მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილი, ძირითადად, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილია როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ინტერპოლატორი, ყალბისმქმნელი, რომლის მოღვაწეობას „ვეფხისტყაოსნისა“ და ზოგადად, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ. ეს დამოკიდებულება კი უდავოდ მომდინარეობს მეფე-პოეტ არჩილის შეფასებიდან, რომელმაც პოემაში „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“ მკვეთრად ნეგატიური შეფასება მისცა ამ მოღვაწის საქმიანობას.

მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილი თავისი დროის ქართლში ერთ-ერთ საინტერესო და დაუღალავ მოღვაწედ და ლიტერატორად იყო მიჩნეული. როგორც გადმოგვცემენ, „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი სტროფების გარდა, ის ყოფილა ორიგინალურ ლექსების

ავტორიც. ამავე დროს, თავისი დროის საზოგადოებაში ცნობილი იყო როგორც ბრძენი მწიგნობარი და მამულიშვილი.

ვფიქრობთ, გადასინჯვას მოითხოვს მანუჩარ ციციშვილის, როგორც ყალბისმქმნელის მიმართ დამკვიდრებული აზრი, უნდა შეჯერდეს ერთმანეთს ის ურთიერთ გამომრიცხავი ცნობები, რაც ამ მოღვაწის პოეტური შესაძლებლობებისა და ნამოღვაწარის შესახებ არსებობს.

საკვანძო სიტყვები: მანუჩარი, ნანუჩა, ინტერპოლატორი, პოეტი.

შესავალი. აღორძინების ხანის ქართველ მოღვაწეთაგან მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილი ერთ-ერთი მოღვაწეა, რომლის მიმართაც ორი მკვეთრად ურთიერთგანსხვავებული აზრი არსებობს. პირველის თანახმად მისი პოეტური მოღვაწეობა სრულიად ნეგატიურად არის შეფასებული, რადგან, როგორც შენიშნულია, მან თავისი დანართ-ჩანართებით წარყვნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და, შესაბამისად, მომდევნო ხანის ტექსტოლოგები დიდი პრობლემების წინაშე დააყენა. მეორე მხრივ, მისი როგორც მწერლისა და ლიტერატორის შესაძლებლობები გათანაბრებულია ძველი ქართველი პოეტების ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების პოეტურ ტალანტთან.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა მიუკერძოებლად შეფასდეს მისი მოღვაწეობის ორივე ნაკადი და რეალურად წარმოჩნდეს მისი მოღვაწეობის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები.

მეთოდები. სტატიაში თანამიმდევრულად არის გამოყენებული კომპარატივისტიკის და ტიპოლოგიური მეთოდები. კვლევა წარმოებდა კონკრეტული კრიტიკული, ისტორიული, კონცეპტის ჭრილში. მანუჩარ ციციშვილის მიმართ გამოთქმულ თვალსაზრისთა შედარებითი ანალიზის შედეგად გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

შედეგები. საკითხის კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა:

1. მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილი იყო იმ დროისთვის განათლებული ადამიანი, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია „ვეფხისტყაოსნი“-ს გავრცელების საქმეს.
2. ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი სტროფი, რომელიც მიჩნეული იყო მანუჩარის ჩანართად, შემდგომი კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ამ სტროფებთან მანუჩარს საერთო არაფერი აქვს.
3. თუ დავუშვებთ, რომ მანუჩარს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართად მიჩნეული ოცმარცვლიანი სტროფი „შეკრეს წითელი ათი-ათასი“... აღმოჩნდება, რომ ამ ტაეპის ავტორი საკმაოდ მაღალი რანგის შემოქმედია.
4. არჩილის შეფასება სხვადასხვა მიზეზების გამო არის ტენდენციური და ის ძირითადად გამოდის პიროვნული ინტერესებიდან.

მსჯელობა. ცნობილი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე მანუჩარ ციციშვილის შესახებ წერს: „ნანუჩა ციციშვილი იყო ქართველი მწიგნობარი... ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა. ამ კაცს საქართველოში ბრძნად სახავდნენ... ბევრნაირი ლექსებისა და მოთხრობების წერას აკუთვნებდნენ, მაგრამ მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია“ (ჭიჭინაძე, 1888: 58)

არჩილი პოემაში „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“ საკმაოდ აგდებულად მოიხსენიებს ნანუჩას, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე უფრო შემრყენელ ინტერპოლატორს

ნანუჩას რუსთაველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,

საბრალოს ვერ შეუტყვია, წმინდა რამ აუმღვრევია,
მასთან რას რევდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მორევია,
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, ნანუჩა არც მორევია.

(არჩილიანი, 1937: 3)

სხვა ეპიზოდში არჩილი კიდევ უფრო მეტი სარკაზმით ახსენებს ნანუჩას; „კარგადა ვთქვა ყველაკაი, არ მგონია ვნანუჩაო“. (არჩილიანი, 1937: 5)

ცნობილია, რომ „ნანუჩობა“ როგორც მოვლენა, არჩილს გაგებული აქვს როგორც ინტერპოლატორობა, ყალბისმქმნელობა, რომელიც მას, როგორც მაღალი რანგის შემოქმედს ყოვლად მიუღებლად მიაჩნია.

ისმის კითხვა: რამდენად სამართლიანია არჩილი ამ შემთხვევაში, რატომ ამცირებს ამგვარად ამ ცნობილი მწიგნობრის ღვაწლს?

„ვისრამიანში“ არჩილი გულდაწყვეტილი კითხულობს: „რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რისთვის აქებთ და მე არა?“ (ხაზგასმა ჩვენია მ. მ.)

საქმე იმაშია, რომ მისი დროის საქართველოში მანუჩარ ციციშვილი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამასთან დაკავშირებით აკად. ალ. ბარამიძე წერს: „ნანუჩობას ანუ ინტერპოლატორობას (ყალბისმქმნელობას) გასავალი და მოწონება ჰქონია საზოგადოებაში. ჩანს ლიტერატურული საზოგადოებრიობა ხელს უმართავდა და აქებდა ნანუჩას მსგავს მელექსეებს, აფასებდა მათ საქმიანობას, გუნდრუკს უკმევდა .

XVII საუკუნის პირველი ნახევრის პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი თარიღიანი ხელნაწერის გადამნუსხავი და „ზააქიანის“ გამლექსავი მამუკა მდივანი (თავაქალაშვილი) ნანუჩას (მანუჩარს) უწოდებს „ტკბილი სიტყვების მხმობელს“ და მას გვერდში უყენებს XII საუკუნის ქართველ კლასიკოსებს. ეტყობა, თავის დროზე ნანუჩას არჩილზე მაღლა აყენებდნენ, თუმცა უკანასკნელმა ახალი ეპოქა შექმნა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. ნანუჩობისათვის, „ვეფხისტყაოსნის“ წაბადვა-გაგრძელებისათვის, მომზადებული ყოფილა სათანადო იდეური და ფსიქოლოგიური ნიადაგი“. (ბარამიძე, 1958: 313)

ნანუჩას რომ მამუკა თავაქალაშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა, ეს ჩანს არა მარტო ზემოთ ციტირებული პოეტური შეფასებიდან, ამასთანავე „ზააქიანის“ შესავალშიც, სადაც ნანუჩას დიდი მწერლების გვერდით მოიხსენიებს: „ესე ამბავი საქართველოს ძველის-ძველადაც ჰქონდა, თუმცა ჩემზე უკეთ ის სხვებმა იცოდნენ, მაგრამ მისი გალექსისთვის თავი არ შეუწუხებიათ არც შავთელს, არც სარგის თმოგველს, არც მანუჩარს, არც შოთას, არც კახთა მეფე თეიმურაზს. (ხაზგასმა ჩვენია. მ.მ.) ამიტომ მე, მეფის მდივანმა მამუკამ, ვსთქვი ეს ზააქიანი“.

აკად. კ. კეკელიძე დასაშვებად მიიჩნევდა მანუჩარ ციციშვილის პიროვნებაში ნანუჩას მოაზრებას. (კეკელიძე, 1981: 343). ახლა აღარავინ დავობს, რომ მანუჩარ ციციშვილი და ნანუჩა ერთი და იგივე მოღვაწეა.

ჩვენ არ შევეცდებით შევხვით ნანუჩა ციციშვილის როგორც ინტერპოლატორის მოღვაწეობას, ამის შესახებ რუსთველოლოგიაში საკმაო ლიტერატურა არსებობს, მხოლოდ გვინდა დავსვათ საკითხი ასე: მაინცდამაინც რატომ გამოარჩია არჩილმა „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორთა შორის ნანუჩა და რატომ ეცადა მის ასეთ დაკნინებას?

ვფიქრობ მეფე-პოეტს საამისოდ სულ მცირე, ორი პიროვნული მიზეზი ჰქონდა და მიუხედავად მისი რეალისტური მსოფლმხედველობისა, ვფიქრობთ, როგორც ადამიანი, ვერ ასცდა ვიწრო პიროვნულ განწყობილებას და მთელი თავისი გულისწყრომა მანუჩარ ციციშვილისადმი პოეზიაში გადაიტანა.

პირველი მიზეზი ფაქტობრივად უკვე ვიცით. როგორც უკვე ითქვა, არჩილის დროის მკითხველი საზოგადოება მანუჩარ ციციშვილს მასზე უფრო საინტერესო პოეტად მიიჩნევდა. ამის შესახებ თვითონ არჩილი საუბრობს. როგორც ზემოთ ვთქვით, მეფე-

პოეტი ერთგვარ წყენას ვერ მალავს იმის გამო, რომ მისი დროის საზოგადოება ნანუქას აქებს და მას არა.

მეორე მიზეზის შესახებ საუბრობს პროფ. მანანა მიჩიტაშვილი შესანიშნავ მონოგრაფიაში „ნაქალაქარი მძოვრეთის ისტორიიდან“. მოვუსმინოთ მკვლევარს: „ნანუქას შემოქმედებისადმი არჩილის ტენდენციური დამოკიდებულება არა მარტო განსხვავებული იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციით აიხსნება, არამედ ნანუქას სიძის ზაზა ციციშვილის მკვლელობის გამართლების მცდელობით.“ (მიჩიტაშვილი, 2020: 335) საქმე იმაშია, რომ არჩილის მამას მეფე შაჰ-ნავაზსა და მანუქარ ციციშვილის სიძეს ზაზა ციციშვილს შორის მოხდა განხეთქილება, რის გამოც მეფემ ბრძანა ზაზას შეპყრობა და სადამსჯელო ოპერაციას სათავეში ჩაუყენა თავისი ვაჟიშვილი გიორგი ბატონიშვილი. ზაზამ წინააღმდეგობა გაუწია მეფის სადამსჯელო რაზმს, რის შედეგადაც ზაზაც მოკლეს, ხოლო მისი ოჯახი დაარბიეს და ძვირფასეულობა თან წაიღეს. ფაქტია, ამ ორ ოჯახს შორის იყო დიდი დაპირისპირება და ეს განწყობა სამეფო ოჯახს დიდხანს გაჰყვა.

ნანუქა ციციშვილისადმი დამოკიდებულებაში მართლაც იგრძნობა მეფე-პოეტის ერთგვარი ტენდენციურობა.

ვფიქრობ, არჩილის თვალსაზრისმა ნანუქას შესახებ იმდენად დიდი ნდობა მოიპოვა, რომ შემდგომი თაობის მკვლევარები ერთხმად იზიარებენ მის აზრს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათ მიერ არაა ჩატარებული კვლევა ვეფხისტყაოსნის ესა თუ ის ჩამატებული სტროფი ნამდვილად ნანუქას ეკუთვნის თუ არა. ასე მაგალითად: თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც არჩილის შემდეგ პირველი საუბრობს ინტერპოლატორთა შესახებ, მარი ბროსეს წერს: „ციციშვილი ყოფილა ერთი ქართველი თავადთაგანი. ამას მეტი სახელი ნანუქა რქმევია. იგი ნანუქა ციციშვილი. ვეჭოფ, გიორგი მეთორმეტესა ქართლის მეფისა შაჰნავაზ მეფისა. ბახუტას შვილის დროს ყოფილა. ამას მოუგონია და თითონ გაუკეთებია ეგ ლექსები და ვეფხისტყაოსნისთვის შეურთავს... იქნება რომ ის ნანუქა ციციშვილი დიახ კარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ ცუდი პოეტიკოსი ბრძანებულა და რაც რუსთაველს დაუწერია, „ვეფხისტყაოსნისად“ ისი კმარა; იმას სხვა დამატებული, არა ეჭირება რა. „ომინიანი“ ზღაპარიც მაგისგანვე არის მოგონებული. ისიც მაგისთანა არა არის რა. არც ტარიელის შვილი ყოფილა ომან თუ სხვა ვინმე და არც არა საჭირო არის. ეგ ლექსები სრულიად ქართველებისაგან დაწუნებული არს და გარდაადგეთ.“ (რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, 1979: 66)

როცა თეიმურაზ ბატონიშვილის ეს წერილი იწერებოდა, ნანუქა ციციშვილის შესახებ არავითარი ცნობები არ არსებობდა. ამას ადასტურებს პროფ. იუსტინე აბულაძეც: „ნანუქას შესახებ სამწუხაროდ დღემდის არავითარი ისტორიული საბუთი არც თუ ბიბლიოგრაფიული ცნობა არ აღმოჩენილა... გარდა „არჩილიანში“ მისი მოხსენიებისა“ (რუსთაველი, 1926: XXV). ამიტომ ვერ გავიზიარებთ პროფ. სარგის ცაიშვილის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ ნანუქაზე საუბრისას თეიმურაზ ბატონიშვილი „ალბათ მის დროს არსებული სანდო წყაროების (ან სამეფო წრეებში არსებული გადმოცემების) მიხედვით (ხაზგასმა ჩვენია მ.მ.) უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ზემოთ ნახსენებ ნანუქაზე“. (ცაიშვილი, 1970: 27).

მეცნიერი რომ ცდება, ამას ადვილად მივხვდებით თავად ბატონიშვილის წერილიდან, სადაც ის მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამს ნანუქასთან მიმართებით და რაიმე მყარ არგუმენტს არ გვთავაზობს. ხოლო თეიმურაზი ზოგჯერ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებითაც კი რომ ცდება, ამაზე თავად ს. ცაიშვილმა გაამახვილა ყურადღება; „ჩვენ ვერ გავიზიარებთ თეიმურაზის შეხედულებას, თითქოს ნანუქას პოემის მთელი გაგრძელებები ეკუთვნოდეს“. (ცაიშვილი, 1970: 27)

აშკარაა, რომ თვალსაზრისი ნანუქა ციციშვილის შესახებ არჩილთანაც და თეიმურაზ ბატონიშვილთანაც აშკარად ტენდენციურია, ორივე ბაგრატიონი ცდილობს ნანუქას იმაზე

მეტი ცოდვა აჰკიდოს, რაც სინამდვილეში აქვს. რომ ეს ასეა, ეს დაადასტურა შემდგომი პერიოდის კვლევებმა.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. საქმე იმაშია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივად მიჩნეული ჩანართი სტროფები მხატვრული თვალსაზრისით ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება, თუმცა ყველაზე უარესა და მდარე სტროფების ავტორად თითქმის ყველა მკვლევარი ასახელებს მანუჩარ ციციშვილს. ცნობილი მკვლევარი სარგის კაკაბაძე წერდა: „მართლაც ვეფხისტყაოსნის ჩანართებთან შედარებით ეს სტროფები ძალიერ მდარეა. გვარი ციციშვილი დოკუმენტურად XV საუკუნის დასასრულზე არაა დადასტურებული (ის მოდის ფანასკერტელებისაგან). ეტყობა ნაწილობრივ ცხოვრობდა XVI საუკუნის შუა წლებზე ადრე (XVI საუკუნის შუაში ხომ ეს სტროფები უკვე ხელნაწერშია დადასტურებული). მე მგონი, რომ ნაწილობრივ ციციშვილი XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მოღვაწე პირი უნდა იყოს“. (კაკაბაძე, 1966: 243) აქაც ვარაუდი და აქაც შეუსაბამობა. ახლა, როცა ვიცით მანუჩარის ცხოვრების ხანა, მკვლევრის მიერ მე-16 საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ ხელნაწერში ბუნებრივია ნაწილობრივად მოწიფილობა. (ხაზგასმა ჩვენია მ.მ.)

ერთადერთი, ვინც ნაწილობრივად მიჩნეული სტროფების შესახებ განსხვავებული აზრი გამოთქვა, იყო დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. მწერალს იოსებ მეგრელიძისთვის უთქვამს: შესაძლებელია რუსთაველი ამუშავებდა თავის პოემას და თავისი შრომის სხვადასხვა ნაწილის რამდენიმე რედაქცია ჰქონდაო. ამისათვის ზოგიერთი ჩამატებულად მიჩნეული სტროფი მეტი ნდობის ღირსია, ვიდრე მას მიაწერენო“. (რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, 1982: 152). ამასთან დაკავშირებით ცნობილი რუსთველოლოგი მიხ. წერეთელი წერდა: „ჯავახიშვილის ამ ჰიპოთეზას დიდი მნიშვნელობა ვერ მიეცემა: რუსთაველი უთუოდ აკეთებდა თავის ტექსტს დიდის გულმოდგინებით, სანამ ის მიიღებდა დასრულებულ ფორმას, როგორც ამას ჩადის ყოველი მწერალი, მაგრამ პოეტის ამ შავად ნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია და უფრო სარწმუნოა, რომ ის არასდროს არ აღმოჩნდება“ (რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, 1982: 152). ამ შემთხვევაშიც დიდი მეცნიერის მსჯელობა ერთგვარად დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ: თუ შევაბრუნებთ კითხვას, მართალია ჩვენამდე არ მოუღწევია პოეტის სამუშაო ვერსიებს, მაგრამ ეს ხომ საბუთი არ არის? ასე თუ ვიმსჯელებთ, პოეტის ხელიდან გამოსულ ორიგინალსაც არ მოუღწევია ჩვენამდე და სწორედ ამიტომ დადგა საკითხი პოემის ტექსტის დადგენის შესახებ. ასე რომ, დიდი მწერლის -მ. ჯავახიშვილის ჰიპოთეზა რეალობას მოკლებულად არ უნდა ჩაითვალოს, მითუმეტეს, პოემის ყველაზე ცნობილი გამყალბებლის ნაწილობრივად მოღვაწეობამდეც პოემის ტექსტში საკმაოდ უხვად იყო ჩანართი სტროფები.

ეს საკითხი უკანასკნელ წლებში გამოწვლილვით შეისწავლა რუსთველოლოგმა მურმან თავდიშვილმა. მკვლევრის დასკვნით, „ნაწილობრივად ჩანართი მონაკვეთების ერთი ნაწილი ნამდვილად ნაწილობრივად ციციშვილის მიერაა შეთხზული, მეორე ნაწილი ნაწილობრივად მოპოვებულია, ხოლო მესამე ნაწილს შეცდომით აწერია ნა“. (თავდიშვილი, 2023: 101)

ნაწილობრივად ციციშვილთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა რუსთველოლოგი გიორგი არაბულის დაკვირვება: „ნაწილობრივად დროს უკვე არსებობდა პოემის სხვადასხვა ნუსხა, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიცდიდნენ შეცვლა-შესწორებას. თითოეულ მათგანს გამოუჩნდა მეტ-ნაკლები პოეტური ნიჭის, სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და გემოვნების რედაქტორ კომენტატორი, რომელთაც გეზი მისცეს განსხვავებული რედაქციული ჯგუფების წარმოქმნას. მათ შორის ერთ-ერთი ნაწილობრივად ციციშვილი იყო...“

ამრიგად, ის მაჯამურრიტიმის სტროფები, რომლებიც რუსთაველის პოემის უმეტესს, ჯერ კიდევ გაუყოფელ არქეტიპში ჩაერთო, შექმნილია ნაწილობრივად მოღვაწეობამდე“. (არაბული, 2004: 125)

როგორც უნდა იყოს, ზაზასეული „ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი უძვირფასესი ხელნაწერია და ალბათ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამაში გარდა შემკვეთისა დიდია თავად გადამწერის იოსებ სააკაძისა და მასთან ერთად, მანუჩარ ციციშვილის წვლილიც.

მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოგვეპოვება ერთადერთი ოცმარცვლიანი სტროფი:

„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,
სამასი თავი სტავრა-ატლასი უხვმან, ნიადაგ მიუმცთარომან,
სამოცი თვალი ლალიაგუნდი ფერად მართ ვითა მიუმხვდარომან.
კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან.“ (711)

ვეფხისტყაოსნის ეს ტაეპი როგორც სიმღერის ტექსტი დიდად იყო გავრცელებული ციციშვილთა ოჯახებში.

პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ყურადღებას ამახვილებდა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ ერთ წერილზე, სადაც ვკითხულობთ: „ციციანთ უფრო იციან მღერა ამ სიმღერისა - შეკრა წითელი სტავრა-ატლასი ათი ათასი“ ეს ციციანთ საგვარეულო სიმღერაა, სხვაგან ამ სიმღერის მღერა არ იციან“. („ივერია“ 1887 N 87) პოეტი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ აღნიშნული სტროფი „ვეფხისტყაოსანში“ ნანუჩა ციციშვილის მიერ უნდა იყოს ჩამატებული. ამიტომ იქცა იგი შემდგომ მათ სიმღერად“. (ლეონიძე, 1960: 91)

ეს სტროფი ასევე ჩანართად მიაჩნდა პროფ. მაგალი თოდუას, თუმცა მას რუსთველისეულად მიიჩნევდნენ ვახტანგ მეექვსე, მარი ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ს. კაკაბაძე, კ. ჭიჭინაძე.

აკად. ალ. ბარამიძე ფიქრობდა, რომ შინაარსის მხრივ ეს სტროფი აუცილებელია ტექსტში. „ასეთი გამონაკლისები (მეტრის შეცვლა) ჩანს, დასაშვები ყოფილა კლასიკური პერიოდის ქართულ პოეზიაში. მაგალითად „თამარიანი“ გაწყობილია 20-მარცვლიანი ჩახრუხაული საზომით, მაგრამ ამ ტექსტში მოიპოვება შაირის რამდენიმე სტროფი“. (ბარამიძე, 1958: 285)

პროფ. აკ. ხინთიბიძის უაღრესად საინტერესო დაკვირვებით „სადავო სტროფი რუსთველისეულ ტექსტში შაირის სახით უნდა ყოფილიყო, მისი 20-მარცვლიან ფისტიკაურად გადაკეთება ციციშვილთა საგვარეულო სიმღერის ჰანგის მეშვეობით უნდა მომხდარიყო და ეს გადაკეთებული ტექსტი „ვეფხისტყაოსანში“ ნანუჩა ციციშვილს უნდა შეეტანა“. (ხინთიბიძე, 2000: 94) საწინააღმდეგო აზრისაა ამ საკითხზე რუსთველოლოგი ბ. დარჩია. მისი აზრით სტროფი ეკუთვნის შოთა რუსთაველს და თავიდანვე 20-მარცვლიანი ფისტიკაურით უნდა იყოს დაწერილი“. (დარჩია, 2010: 97)

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ერთი რამ ცხადია; მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილი იყო იმ დროისთვის განათლებული ადამიანი, რომელმაც არა მარტო თავისი კვალი დააჩნია „ვეფხისტყაოსნის“ გავრცელების საქმეს, ამასთანავე არის ზოგიერთი ისეთი სტროფის ავტორიც, რომელთაც ხშირ შემთხვევაში მეცნიერთა ერთი ნაწილი რუსთველისეულად მიიჩნევს, რაც თავისთავად მიგვანიშნებს ნანუჩას პოეტურ ხელოვნებაზე, ეს კი კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს აზრს არჩილის სუბიექტური დამოკიდებულების შესახებ ამ მოღვაწისადმი.

დასკვნები.

1. მანუჩარ ციციშვილი თავისი დროის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

2. ლიტერატურით დაინტერესებული ზოგიერთი მოღვაწის მიერ მანუჩარი მიჩნეულია მხატვრული სიტყვის ოსტატად.

3. მანუჩარ ციციშვილის მოღვაწეობის შეფასებისას მეფე-პოეტი არჩილი ერთგვარად ტენდენციურია და ის გამოდის პიროვნული ინტერესებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

- არაბული, გ. (2004). „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პრობლემები. თბილისი: გამომცემლობა „ზეკარი“.
- არჩილიანი. (1937). გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. აღ. ბარამიძის წინასიტყვაობით. II. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა.
- ბარამიძე, აღ. (1958). შოთა რუსთაველი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
- დარჩია, ბ. (2010). რუსთაველოლოგიური გამოკვლევები. I. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- თავდიშვილი, მ. (2023). რუსთაველოლოგიური კრიტიკა. I. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- კაკაბაძე, ს. (1966). რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- კეკელიძე, კ. (1981). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ლეონიძე, გ. (1960). ნამცვრევი. მნათობი. N8.
- მიჩიტაშვილი, მ. (2020). ნაქალაქარი მძოვრეთის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- რუსთაველოლოგიური რჩეული ლიტერატურა. (1979). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო იოსებ მეგრელიძემ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- რუსთაველოლოგიური რჩეული ლიტერატურა. (1982). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო იოსებ მეგრელიძემ. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- შოთა რუსთაველი. (1926). ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „სახელგამი“.
- ცაიშვილი, ს. (1970). ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჭიჭინაძე, ზ. (1888). ქართული მწერლობა XVII-XVIII საუკუნეებში. თბილისი.
- ხინთიბიძე, ა. (2000). გერსიფიკაციული ნარკვევები. თბილისი.

REFERENCES

- arabuli, g. (2004). „vepkhist'qaosnis“ t'ekst'is dadgenis p'roblemebi [Problems of Determining the Text of “The Rider in the Leopard's Skin”]. Tbilisi: Publishing House „Zekari“.
- archiliani. (1937). gabaaseba teimurazisa da rustavelisa [The Reunion of Teimuraz and Rustaveli]. With a Preface by Al. Baramidze. II. Tbilisi: Georgian State Museum Publishing House.
- baramidze, al. (1958). shota rustaveli [Shota Rustaveli]. Tbilisi: Georgian USSR Academy of Sciences.
- darchia, b. (2010). rustvelologiuri gamok'vlevebi [Rustaveliologichal Researches]. I. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- tavdishvili, m. (2023). rustvelologiuri k'rit'ik'a [Rustaveliologichal Criticism]. I. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- k'ak'abadze, s. (1966). rustaveli da misi vepkhist'qaosani [Rustaveli and his “The Rider in the Leopard's Skin”]. Tbilisi: Publishing House „Ganatileba“.
- k'ek'elidze, k'. (1981). dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Old Georgian Literature]. II. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- leonidze, g. (1960). namtsvrevi [Namtsvrevi]. mnatobi [Mnatobi]. N8.

- michit'ashvili, m. (2020). *nakalakari mdzovretis ist'oriidan [Archaeological remains of a historical city from the History of Mdzovreti]*. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- rustvelologiuri rcheuli lit'erat'ura [Selected Rustvelological Literature]*. (1979). Compiled, prepared for publication, with a preface and notes by Ioseb Megrelidze. I. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- rustvelologiuri rcheuli lit'erat'ura [Selected Rustvelological Literature]*. (1982). Compiled, prepared for publication, with a preface and notes by Ioseb Megrelidze. III. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- shota rustaveli. (1926). *vepkhist'qaosani [The Rider in the Leopard Skin]*. Tbilisi: „Sakhelgami“.
- tsaishvili, s. (1970). *vepkhist'qaosnis t'ekst'is ist'oria [History of the Text of "The Rider in the Leopard Skin"]*. I. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- ch'ich'inadze, z. (1888). *kartuli mts'erloba XVII-XVIII sauk'uneebshi [Georgian Writing in the 17th-18th Centuries]*. Tbilisi.
- khintibidze, a. (2000). *versipik'atsiuli nark'vevebi [Versification Essays]*. Tbilisi.